



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1173

29 / აგვისტო / 2019 წ.



KA000042874023419

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 მაისის N13/15 დადგენილების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 09 ივლისის N04/866 ბრძანების და საკონკურსო კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს №3 ოქმის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს N3 ოქმის თანახმად, კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „ფოთიქალაქტრანსპორტი“ (ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა M3 კატეგორია, 5 ერთეული ავტობუსი) და 3 ინდ/მენარმე (ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა M2 კატეგორია), კონკურსში გამარჯვებულებზე ქალაქ ფოთში, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა გაიცეს დანართი № 1-ში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.
2. დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის კონკურსის წესით გაცემასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიას და მუშა ჯგუფს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გაატაროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ღონისძიებები.
3. ბრძანება გამოიკრას საჯაროდ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე <http://www.poti.gov.ge>.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად

გოჩა კურდღელია